

IDEAL GROUP
printing & paper cup making company

შპს „იდეალი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 205052743

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „იდეალი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს" სტანდარტის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 17 თებერვალს.

დირექტორი:

/რევაზ ადამია/

მთ. ბუღალტერი:

/მარეხ მაისურაძე/



ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება - შპს „იდეალი“

(ს/ნ : 205052743)

ფინანსური მდგომარეობა:

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	248384	240795	118293
სავაჭრო მოთხოვნები	222891	317324	84842
გადახდილი ავანსები	0	0	0
მარაგები	838831	594297	478020
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	5600	9034	29201
ძირითადი საშუალება	89474	114613	113258
არამატერიალური აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1405180	1276063	823614
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	806290	652127	369996
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	86142	160714	165810
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	892432	812841	535806
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	510748	461222	285808
სულ საკუთარი კაპიტალი	512748	463222	287808
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1405180	1276063	823614

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/ რევაზ ადამია/

/მარეზ მაისურაძე/



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	01.01.2019- 31.12.2019	01.01.2018- 31.12.2018
ამონაგები	2525772	2359483
საქონლის გაყიდვიდან	2523390	2355104
მომსახურების გაწევიდან	2382	4379
რეალიზებული პროდიქციის თვითღირებულება	- 1724595	- 1532836
საწყისი მარაგები	- 594297	- 478020
მარაგების შესყიდვა	- 1969129	- 1649113
საბოლოო მარაგები	838831	594297
საერთო მოგება	801177	826647
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 308526	- 281475
ცვეთა და ამორტიზაცია	- 16522	- 16202
საპროცენტო ხარჯი	- 12617	- 20281
იჯარის ხარჯი	- 187387	- 208275
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	- 19751	- 0
სულ საოპერაციო ხარჯები	- 544803	- 526233
მოგება	- 256374	300414

დირექტორი:

/რევაზ ადამია/

მთ. ბუღალტერი:

/მარეხ მაისურაძე/



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
საკუთარი კაპიტალი			
შპს -ს კაპიტალი	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	510748	461222	285808
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	512748	463222	287808

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/ რევაზ ადამია/

/მარეხ მაისურაძე/



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	01.01.2019- 31.12.2019	01.01.2018- 31.12.2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7589	122502
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 0	- 0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	7589	122502
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	240795	118293
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	248384	240795

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/ რევაზ ადამია/

/მარეზ მაისურაძე/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იდეალი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., N46/5

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ორხევის დასახლება, ახვლედიანის 3

საიდენტიფიკაციო ნომერი: 205052743

დამფუძნებლები: ლუიზა გეგეჭკორი (პ/ნ 01024003785), 80 % წილის მფლობელი და გურამ ბერიკაშვილი (პ/ნ 13001005140), 20 % წილის მფლობელი

დირექტორი: რევაზ ადამია (პ/ნ 01024059357)

შპს „იდეალი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შესაფუთი მასალების წარმოება.

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად: 22220

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „იდეალი“-ს პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

-საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

-საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;

-ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს		
	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აშშ დოლარი	2.8677	2.6766	2.5922
ევრო	3.2095	3.0701	3.1044

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის/მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3 ვალდებულებების ანარიცხები

სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც არ იქნა დროულად ანაზღაურებული და მათი ამოღება ნაკლებად მოსალოდნელია, გადატანილი იქნა ჩვენს მიერ ვალდებულების ანარიცხებში.

3.4. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა). წარმოების პროცესში დარჩენილი მასალის ნარჩენები ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილია არა თვითღირებულებით, არამედ მის გაყიდვის ფასს დამატებული გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები. სამუშაო პროცესში გვექონია შემთხვევა, როდესაც მოვახდინეთ მსგავსი ნარჩენების ნაგავსაყრელზე გადატანა და ვხელმძღვანელობთ არსებული მომსახურების ფასით.

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
მანქანა-დანადგარები	20	196761	110272	86489
კომპიუტერული ტექნიკა	5 - 10	4344	3542	802
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 -5	- 3112	929	2183
		204217	114743	89474

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების მიმდინარე, არაკაპიტალური შეკეთება, მცირე ღირებულების ნაწილების შეცვლით, მიეკუთვნება რემონტის ხარჯს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით და პროცენტი არ ერიცხება.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2019 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს. ბარათზე არსებული ზედმეტობა კი ანგარიშგებაში შეტანილია სხვა მიმდინარე აქტივებში და იგი გაიქვითება მომავალი თვის 15 რიცხვამდე.

3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

3.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს.

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა და აგრეთვე გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.11. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.12 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ქარხნის დანადგარები, მიწა და შენობა ნაგებობა. საიჯარო ვადებში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

დირექტორი:



/რევაზ ადამია/

მთ. ბუღალტერი:



/მარეზ მაისურაძე/

